ა(ა)იპ წყალტუბოს წმინდა გაბრიელ
ეპისკოპოსის სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზია

რემედიაციის პროგრამა

დანართი №2
დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის მმართველი
დირექტორის მიერ. ბრძ № 61/003/ 24. 07.2024წ.

რემედიაციის პროგრამა

რემედიაციის პროგრამას, დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით, სკოლა-გიმნაზია სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ-ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე, არიან სკოლის მიღმა ან/და არიან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ . სარემედიაციო პროგრამის კურიკულუმის შინაარსს განსაზღვრავს თავად სკოლა-გიმნაზია, ეროვ-ნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

რემედიაციის საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირების და პროგრამაში ჩართვის აქტივობები:

- ✓ სკრინინგი (საბაზისო უნარების პირველადი მოკვლევა სასწავლო წლის დასაწყისში) და მისი შედეგების ანალიზი;
- ✓ მოსწავლეებზე საკლასო დაკვირვებისა და განმავითარებელი შეფასების ანალიზი;
- ✓ საბაზისო უნარებში ინდივიდუალური მოსწრების ანალიზი;
- ✓ ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან (სწავლის მოტივაცია, საგნისადმი დამოკიდებულება, თვითაღქმა და სხვ.) და შედეგების ანალიზი;
- ✓ მოსწავლის მოსწრების ანალიზი სხვადასხვა საგანში;
- ✓ გასაუბრება მშობელთან (მოსწრებასთან დაკავშირებული საკითხები, ნებართვა რემედიაციის პროგრამაში მოსწავლის ჩასართავად);
- ✓ ჩატარებული კვლევის შედეგად მოსწავლის სარემედიაციო პროფილისა და საჭიროებების განსაზღვრა)

რემედიაციის პროგრამის ძირითადი საფეხურები:

1. სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილების გეგმების შედგენა;
2. სარემედიაციო გაკვეთილების წარმართვა;
3. პროგრესის მონიტორინგი, შუალედური შეფასება;
4. ბოლო ეტაპი -შემაჯამებელი შეფასება.

რემედიაციის მიზნების დასახვის SMART -სტრატეგია

S – კონკრეტული (specific)	სარემედიაციო პროცესის/მეცადინეობების მიზანი ძალიან მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ კომპეტენციაზე ორიენტირებული.
M – გაზომვადი (measurable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგი უნდა იზომებოდეს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით.
A – მიღწევადი (achievable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა / კომპეტენციის გამომუშავება განვითარების აქტუალურ ზონაზე დაყრდნობით.

R – რელევანტური (relevant)	სარემედიაციო აქტივობები ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს და შეესაბამებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და დასახულ მიზნებს.
T –დროში განსაზღვრული (timely)	უნდა განისაზღვროს სარემედიაციო პროცესის ხანგრძლივობა და ძირითადი ფაზები.

რემედიაციის წარმართვის ფორმატი:

1. **გაკვეთილში ჩაშენება**

მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს

2. **გაკვეთილისგან მოწყვეტა**

გაკვეთილის მსვლელობისას ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მცირე ხნით, კლასში ან კლასის გარეთ, სხვა/დამხმარე მასწავლებელი უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

3. **დამატებითი გაკვეთილი**

არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარდება კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ

სარემედიაციო პროგრამას ახორციელებს საგნის მასწავლებელი, თუმცა, მნიშვნელოვანია პროცეს-ში დამრიგებლის ჩართულობა და მშობლის მხარდაჭერა.

კლასის დამრიგებელი თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელთან და ეხმარება მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევაში; ხელს უწყობს მშობელთა მხარდაჭერას და ჩარ-თულობას.

მშობელი ეცნობა პროგრამის ფარგლებში მოსწავლესთან დაკავშირებულ მიზნებს, გაკვეთილების განრიგს; თანამშრომლობს მედიატორ მასწავლებელთან ბავშვის აკადემიური პრობლემის შესწავ-ლის მიზნით.

სარემედიაციო სასწავლო ჯგუფში მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა სასურველია, ოთხიდან შვიდამდე იყოს, თუმცა, შესაძლებელია მუშაობა წარიმართოს მცირე ჯგუფებში, წყვილებში ან ინ-დივიდუალურად. რეკომენდებულია კვირაში სამი გაკვეთილის ჩატარება, 40-50 წუთის ხანგრძლივობით.